დადგენილება № 71/2020 – ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის გავრცელების პრევენციის მიზნით სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოში მოგზაურების ისტორიის მქონე პირების (საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული ვიზიტორების // თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის) და საერთაშორისო მოგზაურების (საზღვარგარეთიდან ჩამოსული ვიზიტორების // თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის) შემოსვლის წესის დამტკიცების შესახებ

დადგენილება № 71/2020
15 ოქტომბერი, 2020

დადგენილება № 71/2020 – ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის გავრცელების პრევენციის მიზნით სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოში მოგზაურების ისტორიის მქონე პირების (ვიზიტორების // თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის) და საერთაშორისო მოგზაურების (საზღვარგარეთიდან ჩამოსული ვიზიტორების // თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის) შემოსვლის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ - დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის „ახალ კორონავირუსთან (2019-nCov) დაკავშირებული რეკომენდაციების საერთაშორისო მოგზაურთათვის“, შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოწოდებული რეკომენდაციებისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 ოქტომბრის № 37 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის გავრცელების პრევენციის მიზნით დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოში მოგზაურების ისტორიის მქონე პირებისა (ვიზიტორების // თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის) და საერთაშორისო მოგზაურების (საზღვარგარეთიდან ჩამოსული ვიზიტორების // თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის) შემოსვლის წესი წარმოდგენილი დანართი № 5-ის სახით;
2. დადგენილება გადაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს,

ორივე ფაკულტეტის მიმართულებათა ხელმძღვანელებს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი № 5

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოში მოგზაურების ისტორიის მქონე პირების (ვიზიტორების // თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის) და საერთაშორისო მოგზაურების (საზღვარგარეთიდან ჩამოსული ვიზიტორების // თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის) შემოსვლის წესი

1. საზღვარგარეთიდან ჩამოსული ის ვიზიტორები // თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას გაივლიან კარანტინს, ვალდებული არიან, წარმოადგინონ კარანტინის გავლის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი დასკანერებული სახით უნდა გადმოგზავნონ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილი სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის თანაშემწის, ნინი ქუთელიას ელექტრონულ ფოსტის მისამართზე (ელ-ფოსტა: nini.kutelia@tsc.edu.ge);
2. საზღვარგარეთიდან ჩამოსული ის ვიზიტორები, რომლებიც არ გადიან კარანტინს, ვალდებულნი არიან:

   ა) გაიკეთონ PCR ტესტი კლინიკაში იმ შემთხვევაშიც კი, თუკი აეროპორტში გაკეთებულ სწრაფ ტესტზე პასუხი უარყოფითი იქნება;

   ბ) ტესტის პასუხის მიღებამდე უნდა იყვნენ თვითიზოლაციაში და არ უნდა გამოცხადდნენ კონსერვატორიაში;

   გ) ტესტის გაკეთებისა და თვითიზოლაციის საფასური უნდა დაფარონ საკუთარი ხარჯით;
3. PCR ტესტის ოფიციალური პასუხი (კლინიკის მიერ გაცემული) დასკანერებული სახით უნდა გადმოგზავნონ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილი სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის თანაშემწის, ნინი ქუთელიას ელექტრონულ ფოსტის მისამართზე (ელ-ფოსტა: nini.kutelia@tsc.edu.ge);
4. საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობის ისტორიის მქონე პირები (ვიზიტორები // თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალი) ვალდებული არიან:

   ა) კონსერვატორიაში გამოცხადებამდე გაიკეთოს PCR ტესტირება და 72 საათის გავლის შემდეგ მოახდინონ ტესტის განმეორებით ჩატარება;

   ბ) PCR ტესტირების ხარჯების ანაზრაურება უნდა მოხდეს საკუთარი ხარჯებით;

   გ) ტესტირების არჩატარების შემთხვევაში გაიარონ სავალდებულო 8-დღიანი თვითიზოლაციის პერიოდი
5. PCR ტესტის ოფიციალური პასუხის გარეშე პირი არ დაიშვება კონსერვატორიის არც ერთ შენობაში
6. იმ შემთხვევაში, თუ ტესტზე პასუხის ლოდინის დღე ემთხვევა კონსერვატორიაში დაგეგმილ ნებისმიერ აქტივობას, პირი ვალდებულია ჩაერთოს დისტანციურ რეჟიმში.